

LIBERTY CONSUMER

ს.ს. „ლიბერთი კონსუმერ“-ის აქციონერთა საყურადღებოდ !

ს.ს. „ლიბერთი კონსუმერ“-ის (შემდგომში „კომპანია“) აქციონერთა მორიგი საერთო კრების ჩატარება განსაზღვრულია 2011 წლის 28 ივნისს, 17:00 საათზე. კომპანიის აქციონერთა მორიგი საერთო კრების დღის წესრიგი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1. საზოგადოების 2010 წლის აუდიტირებული შედეგების დამტკიცების შესახებ;
2. დირექტორატის ანგარიში საზოგადოების 2010 წლის საქმიანობის შესახებ;
3. ბ-ნ ავთანდილ ნამიჩიშვილის საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოდან გასვლის შესახებ;
4. ბ-ნ მურთაზ კიკორიას საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში არჩევის შესახებ.

2011 წლის 28 ივნისს აქციონერთა მორიგი საერთო კრების დღის წესრიგთან დაკავშირებით, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო და გენერალური დირექტორი აქციონერებს წარუდგენენ შემდეგი სახის რეკომენდაციებს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით:

1. დამტკიცდეს „ერნსტ ენდ იანგის“ მიერ აუდიტირებული კომპანიის 2010 წლის ფინანსური შედეგები.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით:

1. დამტკიცდეს დირექტორატის ანგარიში კომპანიის 2010 წლის საქმიანობის შესახებ;

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით:

1. ცნობად იქნას მიღებული ბ-ნ ავთანდილ ნამიჩიშვილის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან გასვლის შესახებ.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით:

1. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეულ იქნეს ბ-ნ მურთაზ კიკორია.

კომპანიის აქციონერთა მორიგი საერთო კრება გაიმართება ჩაჩავას ქუჩა №8, თბილისი, საქართველო.

აქციონერთა რეგისტრაცია დაიწყება 2011 წლის 28 ივნისს, 16:00 საათზე.

აქციონერთა სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2011 წლის 27 მაისი.

აქციონერთა მორიგ კრებაში მონაწილეობის უფლება შეიძლება გადამოწმებულ იქნას 2011 წლის 16 ივნისიდან ს.ს. „ლიბერთი კონსუმერ“-ის აქციების რეგისტრატორთან – ს.ს. „კავკასრეესტრი“ შემდეგ მისამართზე: ჭავჭავაძის გამზირი №74ა, თბილისი, საქართველო.